

ციხის ევროპული წესები **ცვლილებები და დამატებები**

2020 წლის 1 ივლისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა „ციხის ევროპული წესების“ განახლებული ვერსია.¹ „ციხის ევროპული წესები“ წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო ინსტრუმენტს, რომელიც შეიცავს, პრინციპებს და სტანდარტებს და კარგ პრაქტიკებს პატიმართა მოპყრობის და პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრირების თაობაზე. სხვადასხვა პრაქტიკის და ადამიანის უფლებათა პრინციპების განვითარების კვალდაკვალ, ევროპის საბჭო პერიოდულად ახდენს წესების გადასინჯვას და ცვლილებების შეტანას. „ციხის ევროპული წესების“ ბოლო რევიზია 2006 წელს განხორციელდა. გამომდინარე იქიდან, რომ მას შემდგომ შეიქმნა გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი (SPT), არაერთხელ გადაისინჯა ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) სტანდარტები, განვითარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა პატიმართა უფლებებთან მიმართებაში და განახლდა ნელსონ მანდელას წესები, დღის წესრიგში დადგა „ციხის ევროპული წესების“ გადასინჯვის და განახლების საჭიროება.

წესი 15 - პატიმრის დაწესებულებაში მიღების წესი

15.1. დაემატა კრიტერიუმები როგორცაა: საკონტაქტო პირის მითითება, ვისაც შეიძლება დაუკავშირდეს ადმინისტრაცია პატიმრის ავადმყოფობის, სერიოზული დაზიანების და სიკვდილის თაობაზე; შვილების რაოდენობა; ასაკი და მათი მთავარი მეურვე;

წესი 16: დაწესებულებაში შესვლისთანავე შესასრულებელი წესები

ცვლილება შევიდა მე-15 წესში შესული დამატებებიდან გამომდინარე და დაკონკრეტდა თუ რისთვის გროვდება ინფორმაცია პირადი კონტაქტის და შვილების თაობაზე. მიზანი არის პატიმრის სოციალური საჭიროებების შეფასება.

გარდა ამისა დაემატა სრულიად ახალი ნაწილები 16A.1. – დან 16.A.5-ის ჩათვლით შემდეგი შინაარსის: 16A.1. ინფორმაცია, რომელიც დაწესებულებაში შესვლისას გროვდება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განახლდეს და დაემატოს, რაც საჭიროა;

6A.2. ყოველი პატიმრის შესახებ უნდა გროვდებოდეს განსაკუთრებით ქვემოჩამოთვლილ საკითხებზე:

- a. სისხლის სამართლის საქმის პროცესი;
- b. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები, გათავისუფლებისთვის მომზადების სტრატეგია და გათავისუფლების თარიღი;
- c. ქცევა, საკუთარი თავის და სხვების მიმართ რისკების შეფასებით;
- d. მოთხოვნა საჩივარი, თუ ეს არაა კონფიდენციალური;
- e. განცალკევების და დისციპლინური სახდელების დაკისრება და ხანგრძლივობა სამართლო საკანში მოთავსების ჩათვლით;
- f. შეზღუდვის მეთოდების გამოყენება, მათი ხასიათის და ხანგრძლივობის მითითებით;
- g. ინტრუზიული ჩხრეკა, განსაკუთრებით სხეულის ინვაზიური ჩხრეკა და საკნების ჩხრეკა;
- h. ნებისმიერი გაყვანა დაწესებულებიდან;
- i. მათი პირადი საკუთრება.

16A.3 ყველა შეგროვილი ინფორმაცია უნდა ინახებოდეს კონფიდენციალურად და ხელი მიუწვდებოდეს მხოლოდ მათ ვისაც ეს ევალება პროფესიულად.

16A.4 პატიმარს უნდა ჰქონდეს წვდომა მის სამედიცინო თუ სხვა დოკუმენტაციასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ზღუდავს ამ უფლებას. პატიმრებმა უნდა მიიღონ დოკუმენტაციის ასლები მოთხოვნის შემთხვევაში.

16A.5 ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა დააკონკრეტოს თუ რა ინფორმაცია შეიძლება გროვდებოდეს

და მუშავდებოდეს. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დეტალურ წესებს იმისათვის, რომ დაცული იყოს პერსონალური მონაცემების სტანდარტი.

წესი 34 ქალები

წესს დაემატა ერთი პუნქტი, რომელმაც განსაზღვრა, რომ უნდა შემუშავდეს გენდერულად სენსიტიური პოლიტიკა და პოზიტიური ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა შესრულდეს ამ წესებში მოცემული განსაკუთრებული პირობები; ასევე დაკონკრეტდა საჭიროებისამებრ რა სერვისების მიღება უნდა შეეძლოს ქალ პატიმრებს, თუ მათ აქვთ ფიზიკური, მენტალური და სექსუალური ძალადობის გამოცდილება. ესენია: იყვნენ ინფორმირებული რომ აქვთ ამ აქტების გასაჩივრების შესაძლებლობა სასამართლოს წინაშე; იურიდიული დახმარება; ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; ადეკვატური სამედიცინო კონსულტაცია.

წესის ცვლილება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ციხის გარეთ მშობიარობის უპირატესობას, თუმცა თუ პირს ციხეში შეეძინა ბავშვი, მისთვის სპეციალური საცხოვრებელი სივრცე უნდა მოეწყოს;

წესი 37 უცხოელები

უცხოელებთან მიმართებით, სიახლეა, რომ ისევე როგორც ქალების შემთხვევაში, უცხოელების შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დამატებით პოზიტიური ზომების მიღება. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უცხოელ პატიმართა კონტაქტების და ურთიერთობების განვითარებას გარე სამყაროსთან, მათ შორის მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან რეგულარული კონტაქტის გზით; პრობაციასთან და საზოგადოებრივ მოხალისეობრივ სააგენტოებთან და პატიმრის თანხმობის შემთხვევაში დიპლომატიურ და საკონსულტო წარმომადგენლობებთან.

ასევე წესში დამატებულმა ცვლილებამ ხაზი გაუსვა, რომ უცხოელ მსჯავრდებულებს ისევე შეეძლოს ვადაზე ადრე გათავისუფლება, როგორც სხვა მსჯავრდებულებს.

წესი 53 მაღალი უსაფრთხოების სპეციალური ზომები

აღნიშნულ წესში შესულია ცვლილებები და დამატებულია სრულიად ახალი წესი განცალკევებაზე.

53.1 მაღალი უსაფრთხოების სპეციალური ზომები არის იმ ზომებს მიღმა, რაც მოცემულია 51, 52 წესებში და წარმოადგენს იმ პატიმრებზე მიღებულ ზომებს, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიან უსაფრთხოების თვალსაზრისით.

53.2 აღნიშნული ზომების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, რითაც სხვა ნაკლებად შემზღვევადი ზომებით ვერ იქნება შენარჩუნებული უსაფრთხოება.

53.3 ასეთ ზომას შეიძლება წარმოადგენდეს ერთი პატიმრის მეორე პატიმრისგან განცალკევება. აღნიშნული განცალკევება უნდა აკამყოფილებდეს 53A და 53.4 პუნქტებში მოცემულ პირობებს.

53.4 ამ ზომების ბუნება და ხანგრძლივობა და საფუძველის რის გამოც ის გამოიყენება, ასევე პროცედურა განსაზღვრული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

53.5 ამ ზომების გამოყენება უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური პირის მიერ განსაზღვრული პერიოდით და გადაწყვეტილების ასლი უნდა გადაეცემოდეს პატიმარს გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მითითებით.

53.6 ყოველი ახალი გადაწყვეტილება ხანგრძლივობის გაგრძელებაზე უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური პირის მიერ განსაზღვრული პერიოდით და გადაწყვეტილების ასლი უნდა გადაეცემოდეს პატიმარს გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მითითებით.

53.7 ასეთი ზომები გამოყენებული იქნას ინდივიდუალურად და არა პატიმართა ჯგუფების მიმართ.

53.8 ასეთი ზომები იმწამიერი რისკის საპასუხოდ უნდა იყოს მიღებული, უნდა იყოს პროპორციული და არა იმაზე მეტად შემზღუდავი, რაც საჭიროა.

53.9 ნებისმიერ პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს ეს ზომა 70-ე წესის მიხედვით.

განცალკევება

53A ქვემოთ დებულებები გამოიყენება პატიმრის განცალკევებით განთავსების შემთხვევაში როგორც მაღალი უსაფრთხოების სპეციალური ზომა.

1. პატიმრებს, რომლებიც განცალკევებით არიან მოთავსებული, როგორც მინიმუმ 2 საათიანი საზრისიანი ადამიანური კონტაქტის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.
2. პატიმრის განცალკევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა მიიღებოდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ან რაიმე შეზღუდული მდგომარეობა, რამაც შესაძლოა იგი გახადოს უფრო მოწყვლადი განცალკევების უკუეფექტის მიმართ.
3. განცალკევება უნდა განხორციელდეს რა შეიძლება ხანმოკლე პერიოდით, რომელიც საჭიროა მიზნის მისაღწევად და რეგულარულად უნდა გადაისინჯოს მისი აუცილებლობა.
4. პატიმრებს, რომელიც განცალკევებით არიან განთავსებული, არ უნდა დაეკისროთ იმაზე მეტი შეზღუდვა, რაც საჭიროა განცალკევების მიზნებისათვის.
5. საკნები, რომელიც გამოიყენება განცალკევებით მოთავსებისთვის, უნდა პასუხობდეს ამ წესებში მოცემულ მინიმალურ სტანდარტებს.
6. რაც უფრო მეტ დროს ატარებს პატიმარი განმარტოებით, მით მეტი ზომების მიღება გახდება საჭირო, რომ განეიტრალდეს ის ნეგატიური ეფექტი, რაც თან სდევს განცალკევებას, მათი სხვებთან კონტაქტების გაძლიერებით და აქტივობების უზრუნველყოფით.
7. განცალკევებით მოთავსებული პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საკითხავი მასალით და შესაძლებლობით დღეში მინიმუმ ერთი საათი დაკავდნენ ფიზიკური აქტივობით 27.1 და 27.2 წესის შესაბამისად.
8. განცალკევებით მოთავსებული პატიმრების მონახულება უნდა მოხდეს ყოველდღიურად მათ შორის დაწესებულების დირექტორის ან პერსონალის მიერ რომელიც დირექტორის მოვალეობას ასრულებს.;
9. როდესაც განცალკევებით მოთავსება აუარესებს პატიმრის ფიზიკურ ან მენტალურ ჯანმრთელობას, უნდა იქნას მიღებული ზომები მისი შეწყვეტის, ჩანაცვლების ან შემსუბუქების მიზნით.
10. ნებისმიერ პატიმარს, რომელიც განაცალკევებს, უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს ეს ზომა 70-ე წესის მიხედვით.

წესი 60

დისციპლინის და სასჯელების წესების თავიდან მე-60 წესს დაემატა ახლი ქვეპუნქტები:

60.6.a სამართლო საკანში მოთავსება, რომელიც გულისხმობს დღეში 22 საათზე მეტი ხნით საზრისის მოკლებული ადამიანური კონტაქტის გარეშე პატიმრის მართო მოთავსებას, არასდროს არ უნდა იქნას გამოყენებული არასრულწლოვანთა, ორსულ და მეძუძურ ქალთა მიმართ და პატიმრების მიმართ, რომლებიც შვილთან ერთად იმყოფებიან ციხეში.

60.6.b პატიმრის სამართლო საკანში მოთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობა. სამართლო საკანში მოთავსება არ უნდა გამოიყენებოდეს იმ პატიმრების მიმართ, რომელთაც აქვთ რაიმე შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც ამ ზომით შეიძლება გაუარესდეს. იმ შემთხვევაში, თუ სამართლო საკანში მოთავსებისას პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ზომა უნდა შეწყდეს.

60.6.c სამართლო საკანში მოთავსება არ უნდა იყოს დისციპლინური ღონისძიება გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა და მხოლოდ კონკრეტული პერიოდით, რომელიც უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე და არასდროს უნდა გაუტოლდეს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას.

60.6.d სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალური პერიოდი დადგენილი უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

60.6.e როდესაც სამართლო საკანში მოთავსება ხდება ახალი დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენისთვის და თუ პატიმარს სამართლო საკანში უკვე გატარებული აქვს მაქსიმალური პერიოდი, აღნიშნული ზომა არ უნდა იქნას გამოყენებული იქამდე, სანამ იგი არ განიკურნება წინა სამართლო საკანში მოთავსებით გამოწვეული უკუეფექტისგან.

60.6.f სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრების მონახულება უნდა მოხდეს ყოველდღიურად მათ შორის დაწესებულების დირექტორის ან პერსონალის მიერ რომელიც დირექტორის მოვალეობას ასრულებს.

წესი 68: შეზღუდვის მეთოდები (დამატებული პუნქტები)

68.1 შეზღუდვის ინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც სხვა ნაკლებად შემზღუდავი ზომის კონტროლი არ იქნება ეფექტური პატიმრიდან მომავალი რისკების საპასუხოდ.

68.2 შეზღუდვის მეთოდი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ნაკლებ შემზღუდავი იმდენად რამდენადაც ეს გონივრულად აუცილებელია პატიმრის ქმედებების კონტროლისათვის, მისგან მომავალი რისკების ბუნებიდან გამომდინარე.

68.3 შეზღუდვის ინსტრუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული დროით და უნდა შეწყდეს რისკების აღმოფხვრისთანავე.

68.7 შეზღუდვის ინსტრუმენტების გამოყენება დაუშვებელია ბავშვის გაჩენის პერიოდში ან ბავშვის გაჩენისთანავე.

68.8 შეზღუდვის მეთოდების გამოყენება უნდა დოკუმენტირდებოდეს ზედმიწევნით შესაბამის რეესტრში.

წესი 70 მოთხოვნა საჩივარი

პირველ პუნქტში დაკონკრეტდა, რომ გასაჩივრების მექანიზმი უნდა იყოს ქმედითი და პატიმარს უნდა შეეძლოს ცენზურის გარეშე, მარტივად გაასაჩივროს კომპეტენტურ ორგანოში. გასაჩივრების ორგანოს უნდა შეეძლოს შეცვალოს გასაჩივრებული საკითხი.

მეორე პუნქტში გასაჩივრების ალტერნატივად მითითებული იყო მხოლოდ მედიაცია, ახალი რედაქციით ზოგადად ალტერნატიული გზებია მითითებული.

მესამე პუნქტით დაკონკრეტდა რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება დაუშვებელია არასათანადო მოპყრობის საკითხებზე.

მეოთხე პუნქტით განისაზღვრა გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე პრაქტიკული და პროცედურული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

მეხუთე პუნქტით დაემატა, რომ გარდაცვალების და არასათანადო მოპყრობის თაობაზე საჩივრები დაუყოვნებლივ უნდა განიხილებოდეს და იწყებოდეს გამოძიება.

მეექვსე პუნქტით განისაზღვრა საჩივრის სწრაფი განხილვის პროცედურა და მასში პატიმრის მონაწილეობის აუცილებლობა.

მერვე და მეცხრე პუნქტებით დაკონკრეტდა საჩივრის კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის აუცილებლობა და გაგზავნის შემთხვევაში დასჯის დაუშვებლობასთან ერთად დაემატა სხვა ნებისმიერი სახის რეპრესია.

მეთათე პუნქტი განამტკიცებს საჩივრის წარმომადგენლის საშუალებით შეტანის შესაძლებლობას და იურიდიული დახმარების დაუბრკოლებლად მიღებას.

წესი 83 ციხის მართვა

აღნიშნულ წესს დაემატა განახლებული პუნქტები და ციხის მენეჯმენტს ავალდებულებს:

- a. დარწმუნდეს რომ ციხე ოპერირებს შესაბამისად მაღალი სტანდარტებით, არის საკმარისი პერსონალი ნებისმიერ პერიოდში იმისათვის, რომ შეინარჩუნოს უსაფრთხო გარემო და შეესაბამებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, მათ შორის ამ წესებს.
- b. შეუძლია საგანგებო პირობებში ოპერირება და სტატუსს ქვოსთან სწრაფი დაბრუნება.

წესი 92 ინსპექტირება

აღნიშნულ წესში შეიცვალა ის, რომ სამთავრობო ინსპექტირების ორგანოს ნაცვლად დაიწერა სახელმწიფო ინსპექტირების ორგანო.

წესი 93 დამოუკიდებელი მონიტორინგი

93.1 იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პატიმართა მოპყრობის და პატიმრობის პირობების შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან და ამ წესების დებულებებთან, უზრუნველყოფილი იყოს პატიმართა უფლებების და ღირსების დაცვა ნებისმიერ დროს, ციხეების უნდა მონიტორინგდებოდეს დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოს ან ორგანოების მიერ, რომელთა მიგნებებიც უნდა იყოს საჯარო.

93.2 ეს დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ:

- a. წვდომით ყველა ციხის და მისი ყველა ნაწილის; დოკუმენტაციაზე წვდომით, მათ შორის, მოთხოვნა საჩივრის თაობაზე დოკუმენტაციის და მოპყრობის და პატიმრობის პირობების თაობაზე ინფორმაციით, რაც მათ ესაჭიროებათ მონიტორინგის მიზნებისათვის.
- b. თავისუფლად აირჩიონ დაწესებულება რომელსაც მოინახულებენ გამოუცხადებელი ვიზიტების განხორციელებით და აირჩიონ პატიმრები, ვისაც გაესაუბრებიან.
- c. ჩაატარონ სრულად კონფიდენციალური ინტერვიუები პატიმრებთან და პერსონალთან.

93.3 არც ერთი პატიმარი, პერსონალი ან სხვა პირი არ უნდა დაექვემდებაროს სანქციებს იმის გამო რომ ინფორმაცია მიაწოდა დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოს.

93.4 დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანო უნდა თანამშრომლობდნენ საერთაშორისო სააგენტოებთან, რომელთაც უფლება აქვთ ეწვიონ ციხეებს;

93.5 დამოუკიდებელ მონიტორინგის ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება გამოსცენ რეკომენდაციები ციხის ადმინისტრაციისთვის და სხვა კომპეტენტური ორგანოების მიმართ.

93.6 ეროვნულ უწყებმა და ციხის ადმინისტრაციამ უნდა აცნობოს ამ ორგანოებს, გონივრულ ვადაში, რა ზომები მიიღეს ამ რეკომენდაციების შესასრულებლად.

93.7 მონიტორინგის ანგარიშები და მასზე პასუხები უნდა იყოს საჯარო.